



საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №



MES 9 22 0001-11/10



25/01/2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის „უმაღლესი განათლება“ ქვეპროგრამის „ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა“ ფარგლებში კონკურსის გამოცხადებისა და რიგი პირობების განსაზღვრის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დამტკიცებული პროგრამის „უმაღლესი განათლება“ ქვეპროგრამას „ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა“ (კლასიფიკაციის კოდი: 051003). ქვეპროგრამის ფარგლებში მიზანშეწონილია დამტკიცდეს დებულება, საკონკურსო განცხადების ფორმა, ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობის ფარგლებში მოქმედი საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და დადგინდეს განაცხადისა და დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის ვადა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 25 იანვრის N64075 მოხსენებითი ბარათისა და სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის „უმაღლესი განათლება“ ქვეპროგრამის „ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა“ ფარგლებში და დამტკიცდეს დებულება, საკონკურსო განცხადების ფორმა და ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობის ფარგლებში მოქმედი კომისია თანახმად N1, N2 და N3 დანართებისა.

2. კონკურსში სტუდენტების მონაწილეობის მიზნით განცხადებისა და დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2022 წლის 15 თებერვლიდან (9:00 სთ) 31 მარტის (18:00 სთ) ჩათვლით პერიოდი.
3. საკონკურსო კომისიის სხდომებზე მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისროს განათლების დეპარტამენტის პროფესიული და უმაღლესი განათლების განყოფილების უფროს სპეციალისტს, მარინა პაქსაძეს.
4. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა დაევალოს სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებას.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის: ქალაქი ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ.№9), ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მაია ხაჯიშვილი
მინისტრი

